

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
საგანმანათლებლო პროგრამა**

**ზოგადი ინფორმაცია**

**პროგრამის სახელწოდება** – მასწავლებლის პროფესიული უნარები.

**პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით** – 8 ECTS კრედიტი (124 საკონტაქტო, 76 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 200 საათი).

პროგრამა შედგება სამი მოდულისგან: განვითარებისა და სწავლის თეორიები – 3 კრედიტი (45 საკონტაქტო, 30 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 75 საათი), სწავლებისა და შეფასების პროცესი (45 საკონტაქტო, 30 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 75 საათი), პროფესიული გარემო – 2 კრედიტი (34 საკონტაქტო, 16 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 50 საათი)

სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის მხოლოდ ერთი, ან ორი მოდულის არჩევა.

**პროგრამის ხანგრძლივობა** – დამოკიდებულია სამიზნე ჯგუფის დაკვეთაზე. ინფორმაცია იხ. სასწავლო გეგმაში.

**პროგრამის განხორციელების ადგილი** – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, III კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11, V კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36.

**პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა** – ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა: 25.

**პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა** – 5 მასწავლებელი.

**პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი** (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტი რუსუდან სანაძე.

**პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი** – ნებისმიერი საგნის მასწავლებლის დიპლომის მქონე პირი. პროგრამა განკუთვნილია მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის.

**პროგრამის ღირებულება** – სრული პროგრამა (8 კრედიტი) – 320 ლარი, 3 კრედიტიანი მოდული – 120 ლარი, 2 კრედიტიანი მოდული – 80 ლარი (1 კრედიტი – 40 ლარი).

**პროგრამის შემუშავების თარიღი** – 2008 წლის დეკემბერი (პროგრამა დამტკიცებულია თსუ რექტორის 2008 წლის 19 დეკემბრის # 112/01–01 ბრძანებით).

პროგრამის მოდიფიცირების თარიღი – 2009 წლის იანვარი, თსუ რექტორის 2009 წლის 20 იანვრის # 04 ბრძანების შესაბამისად.

### პროგრამის შინაარსი

**პროგრამის მიზნები და ამოცანები** – პროგრამის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რაც პროფესიულ უნარებში მასწავლებელთა დახელოვნებას გულისხმობს.

*პროგრამის ამოცანები:*

- თეორიული ბაზისის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მსმენელთა გათვინობიერებას პროფესიულ უნარებში;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება;
- სწავლებისა და შეფასების სისტემებს შორის ლოგიკური კავშირის დაძებნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეძენა;
- სწავლების დროს სასწავლო და პროფესიული გარემოს ცოდნის აუცილებლობის განსაზღვრა. მისი, როგორც სისტემის, გააზრება და ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება.

**პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები** – პროგრამის გავლის შედეგად მასწავლებელმა:

- უნდა იცოდეს ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების ძირითადი კანონზომიერებები და შეეძლოს ამ ცოდნის სწავლების პროცესში გამოყენება;
- უნდა იცოდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სტრატეგიები და შეეძლოს სწავლების პროცესში მათი პრაქტიკულად გამოყენება;
- უნდა იცოდეს განათლების საკანონმდებლო ბაზა, კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები, თვითშეფასების მეთოდები, ხერხები და უნდა შეეძლოს პრაქტიკაში მათი განხორციელება;
- პროგრამა მასწავლებელს მისცემს იმ საწყის ბაზის, რომელზე დაყრდნობითაც, საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად, განვითარებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

**პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** – პროგრამა სტრუქტურულად შედგება სამი მოდულისგან:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლებისა და შეფასების პროცესი
3. პროფესიული გარემო

*პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს:*

- განვითარებისა და სწავლების ძირითად თეორიებს (ბიჰევიორიზმი, კოგნიტური განვითარების თეორია, სოციალური დასწავლის თეორია, კონსტრუქტივიზმი, ჰუმანისტური თეორია, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და სხვა.)
- სასწავლო გარემო, მოტივაცია და კომუნიკაცია, სასწავლო პროცესი, შეფასების მეთოდები, სწავლების სტრატეგია და მეთოდები.
- კოლეგებთან ურთიერთობა, თვითშეფასება და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სამართლებრივი აქტები.

## სასწავლო გეგმა 1

მოდულის სახელწოდება	<b>განვითარების და სწავლის თეორიები</b>
ECTS	3 კრედიტი, საკონტაქტო 45 საათი, დამოუკიდებელი 30 საათი, სულ: 75 საათი
პროგრამის ხანგრძლივობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტენსიური კურსის შემთხვევაში 15 დღე, დღეში 3 ერთსაათიანი სესია</li> <li>• ან 1 თვე შაბათ-კვირას 5-6 საათიანი სესია (სულ 45 საათი)</li> </ul>
ლექტორი	<p>თეონა ლოდია. ფსიქოლოგი. არასამთავრობო ორგანიზაცია – კავშირი „საქართველოს ბავშვები“. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.</p> <p>ტელ: +995 99 23 15 53 E-mail: <a href="mailto:teonalodia@yahoo.com">teonalodia@yahoo.com</a></p>
<p><b>კურსის მიზანი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარების და სწავლის ძირითადი თეორიების შესწავლა.</li> <li>• ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების ძირითადი კანონზომიერებების გაცნობა.</li> <li>• განათლების ფსიქოლოგიის ცნებების დაუფლება და გამოყენება.</li> </ul> <p><b>ამოცანები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარების და სწავლის თეორიების კრიტიკული ანალიზის და პედაგოგიური პრაქტიკიდან შესაბამისი შემთხვევების განხილვის საფუძველზე მონაწილეებმა უნდა შეძლონ სწავლების სწორი სტრატეგიების შერჩევა.</li> <li>• ბავშვის განვითარების ძირითადი კანონზომიერებების ცოდნა და სწავლის პროცესზე მათი გავლენის გაცნობიერება.</li> </ul> <p><b>მოსალოდნელი შედეგები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარების და სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნა.</li> <li>• ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების თავისებურებების და სწავლის პროცესზე მათი გავლენის გაცნობიერება.</li> <li>• ბავშვის განვითარებისა და სწავლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების ცოდნა.</li> <li>• მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის და მათი სწავლების პროცესში გათვალისწინების უნარი.</li> <li>• სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების დროს მიღებული თეორიული ცოდნის გათვალისწინების უნარი.</li> <li>• ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.</li> </ul>	

კურსის შინაარსი	
თემა	საკონტაქტო საათების რაოდენობა
1. სწავლის ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები. განვითარება და სწავლა. განვითარების ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები. ადამიანის განვითარების ძირითადი პრინციპები.	3
2. ბავშვის კოგნიტური განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. აზროვნება და მეხსიერება. მეტაშემეცნება. სწავლების სტრატეგიები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.	3
3. კოგნიტური განვითარების თეორია – ჟან პიაჟე	3
4. კონსტრუქციული და დიდაქტიკური სწავლების მოდელები. აღმოჩენის გზით სწავლა – ჯერომ ბრუნერის თეორია.	3
5. სოციო-კულტურული კოგნიტური თეორია და მისი გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში – ლევ ვიგოტსკი.	3
6. მორალური განვითარების თავისებურებები - კოლბერგი, პიაჟე.	3
7. ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. ფსიქოსოციალური განვითარების სტადიები ერიკსონის მიხედვით.	3
8. ბიჰევიორიზმი - სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორია და მისი გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში.	3
9. სოციალურ - კოგნიტური თეორია და მისი პედაგოგიური ასპექტები - ალბერტ ბანდურა.	3
10. სწავლების ჰუმანისტური მიდგომები. სწავლა თანამშრომლობის გზით – მასლოუ, როჯერსი.	3
11. მოტივაციის გაგება სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობის კრილში.	3
12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები და მათი სწავლების სტრატეგიები. ინკლუზიური განათლების საფუძვლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინკლუზიური გაკვეთილის ძირითადი პრინციპები. გუნდური მიდგომის მნიშვნელობა.	6
13. კლასის მენეჯმენტი – ბიჰევიორისტული მოდელი. კლასის მართვის სხვადასხვა სტილი.	3
14. შეჯამება.	3

კურსის განხორციელების დროს გამოყენებულ იქნება შემდეგი აქტივობები:

- პრეზენტაცია
- პედაგოგიური პრაქტიკიდან თემის შესაბამისი შემთხვევების ჯგუფური განხილვა

- დისკუსია
- ინდივიდუალური წერიტი დავალებები და პრაქტიკული სავარჯიშოები.

**კურსის შეფასება:** შეფასების დროს გამოყენებული იქნება 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა:

დასწრება – 25 ქულა

პრეზენტაცია – 30 ქულა

საბოლოო გამოცდა – 45 ქულა

სულ – 100 ქულა

პრეზენტაციათა თემატიკა წინასწარ თანხმდება პროგრამის თითოეულ მსმენელთან. თითოეულ მსმენელს ევალება ერთი პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ფასდება 30 ქულით.

**მსმენელს კურსი გავლილად ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ გადალახავს 51 ქულიან ბარიერს.**

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები, ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, 2008
2. სწავლება და შეფასება, რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, 2008
3. სასწავლო და პროფესიული გარემო, ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, 2008
4. განათლების ფსიქოლოგია, ავტორთა ჯგუფი, 2000
5. ინკლუზიური განათლება და საზოგადოება, რ. აფხაზავა, ნ. ფრუიძე, ნ. მაჩაბელი, 2007
6. განათლება – განსხვავებული საჭიროების პირთა მქონე პირთა განათლება – ბერიპტ. იონსენისა და მარიამ დ. შერცენის რედაქციით, 2007
7. ბავშვის განვითარება, ლორა ბერკი, 2007
8. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2008
9. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008
10. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2008
11. ბავშვის უფლებათა კონვენცია – გაერთიანებული ერების ფედერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის რეზოლუცია
12. პედაგოგიკა, თსუ-ს გამომცემლობა, 1994
13. პედაგოგიკა, შ. მალაზონია, 2006

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Психология для учителя, Ги Лефрансуа, 2003
2. Педагогический Практикум, О.П. Морозова, 2000
3. Принципы активной Педагогики, В.Ч. Кузнецев, 2001
4. Практикум по решению конфликтных педагогических ситуаций, А.С. Чернышев, 2001
5. Социальная педагогическая психология, А.А. Реан, Я.Л. Коломинский, 2000
6. Педагогическая Этика, Т.В. Миншушкина, 2004
7. Теории Развития, Уильям Крэйн, 2002
8. Педагогическая Психология, Л.Д. Столяренко, 2003
9. Социальная Педагогика, А.В. Мудрик, 2002

## სასწავლო გეგმა 2

**მოდულის დასახელება:** სწავლება და შეფასება

**მოდულის ხანგრძლივობა:** 1 თვე, კვირაში 2 დღე (შაბათი და კვირა, ან სამიხნე ჯგუფის დაკვეთით ინტენსიური კურსი დღის მეორე ნახევარში)

**ECTS:** 3 კრედიტი, 45 საკონტაქტო, 30 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ 75 საათი

**ლექტორები:** ნ. ჩახუნაშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 22-33-90; მ. მემარნიშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 22-00-85; რ. სანაძე, თსუ პედაგოგიკის ინსტიტუტის დოქტორანტი, 893 37 25 87; თ. ლოდია, მოწვეული მასწავლებელი, 899 23 15 53

**მოდულის მიზანი:**

სასწავლო კურსის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. კურსი მოიაზრებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას პროფესიული სტანდარტის დაკვეთების შესაბამისად, მათთვის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მოთხოვნების გაცნობას და ამ მიმართებით პრაქტიკული უნარების ფორმირებას.

**მოდულის შინაარსი:**

**თემა 1.** სწავლების მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები - 2 სთ.

**თემა 2.** სწავლების ტექნოლოგიები - დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება - 6 სთ.

**თემა 3.** სწავლების პროცესის არსი, სწავლების სტრატეგიები - 6 სთ.

**თემა 4.** სწავლების ორგანიზაციის ფორმები - გაკვეთილი, გაკვეთილის დაგეგმვა - 5 სთ.

**თემა 5.** ცოდნის აღრიცხვა, შემოწმება და შეფასება. შეფასების მეთოდები - ტესტირება, მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი, შეფასების სქემები - 6 სთ.

**თემა 6.** თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება - 2 სთ

**თემა 7.** პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება - 2 სთ

**თემა 8.** კომუნიკაცია, კომუნიკაციის საშუალებები - 2 სთ

**თემა 9.** სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია, საკლასო დისკუსია - 5 სთ

**თემა 10.** ინკლუზიური განათლება - 4 სთ

**თემა 11.** ნიჭიერი ბავშვები, მათთან მუშაობის ფორმები და მეთოდები - 5 სთ.

**შეფასება:** შეფასების დროს გამოყენებული იქნება 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა:

დასწრება - 25 ქულა

პრეზენტაცია - 30 ქულა

საბოლოო ტესტი - 45 ქულა

გამსვლელი ქულა - 51

კურსის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი აქტივობები:

- პრეზენტაცია
- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა

პრეზენტაციათა თემატიკა წინასწარ თანხმდება პროგრამის თითოეულ მსმენელთან. თითოეულ მსმენელს ევალება ერთი პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ფასდება 30 ქულით.

#### **მოდულის შედეგი:**

სასწავლო კურსის გავლის შედეგად მასწავლებელი შეისწავლის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და სტრატეგიებს, შეძლებს პრაქტიულად გამოიყენოს ცოდნა სწავლების პროცესში. მას ექნება კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარები.

#### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. სწავლება და შეფასება, რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, 2008
2. სასწავლო და პროფესიული გარემო, ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, 2008
3. განათლების ფსიქოლოგია, ავტორთა ჯგუფი, 2000
4. ინკლუზიური განათლება და საზოგადოება, რ. აფხაზავა, ნ. ფრუიძე, ნ. მაჩაბელი, 2007
5. განათლება – განსხვავებული საჭიროების პირთა მქონე პირთა განათლება – ბერიპტ. იონსენისა და მარიამ დ. შერცენის რედაქციით, 2007
6. ბავშვის განვითარება, ლორა ბერკი, 2007
7. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2008
8. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008
9. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2008
10. ბავშვის უფლებათა კონვენცია – გაერთიანებული ერების ფედერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის რეზოლუცია
11. პედაგოგიკა, თსუ-ს გამომცემლობა, 1994
12. პედაგოგიკა, შ. მალაზონია, 2006

#### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. Психология для учителя, Ги Лефрансуа, 2003
2. Педагогический Практикум, О.П. Морозова, 2000
3. Принципы активной Педагогики, В.Ч. Кузнецев, 2001
4. Практикум по решению конфликтных педагогических ситуаций, А.С. Чернышев, 2001
5. Социальная педагогическая психология, А.А. Реан, Я.Л. Коломинский, 2000
6. Педагогическая Этика, Т.В. Миншушкина, 2004
7. Теории Развития, Уильям Крэйн, 2002
8. Педагогическая Психология, Л.Д. Столяренко, 2003
9. Социальная Педагогика, А.В. Мудрик, 2002

### სასწავლო გეგმა 3

**მოდულის დასახელება:** სასწავლო და პროფესიული გარემო

**მოდულის ხანგრძლივობა:** 3 კვირა, კვირაში 2 დღე (6-6 საათი შაბათი და კვირა, ან სამიზნე ჯგუფის დაკვეთით ინტენსიური კურსი დღის მეორე ნახევარში).

**ECTS:** 2 კრედიტი, 34 საკონტაქტო, 16 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 50 საათი.

#### ლექტორები:

ნათია ბებიაშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტელ.: 39-16-15;

მაია მემარნიშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტელ.: 22-00-85;

ნინო ჩახუნაშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტელ.: 22-33-90;

რუსუდან სანაძე, თსუ, პედაგოგიკის ინსტიტუტის დოქტორანტი, ტელ.: 893 37-25-87;

**მოდულის მიზანი:** კურსის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. კურსი მოიაზრებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას პროფესიული სტანდარტების დაკვეთების შესაბამისად, მათთვის თანამედროვე პროფესიული გარემოს გაცნობას და ამ მიმართებით პრაქტიკული უნარების ფორმირებას.

#### მოდულის შინაარსი:

**თემა 1.** საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო. მოსწავლეთა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის პირობა - 4სთ.

**თემა 2.** კლასის მართვის საფუძვლები, მართვის სტილი - 2სთ.

**თემა 3.** გაკვეთილის დროის მართვა, გაკვეთილის ეტაპები, საკლასო ორგანიზაციის მოდელები - 4სთ.

**თემა 4.** ჯგუფური მუშაობა, ჯგუფური მუშაობის მართვა - 4სთ

**თემა 5.** ქცევის წესები, ქცევის თვითმართვა, კონფლიქტების მოგვარება - 4სთ.

**თემა 6.** განათლება და კანონმდებლობა - 6სთ.

**თემა 7.** მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები - 2სთ.

**თემა 8.** მოსწავლის უფლებები და მოვალეობები - 2სთ.

**თემა 9.** მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა - 2სთ.

**თემა 10.** თანამშრომლებთან ურთიერთობა - 2სთ.

**თემა 11.** პროფესიული განვითარება - 2სთ.

**შეფასება:** შეფასების დროს გამოყენებული იქნება 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა:

დასწრება - 25 ქულა

პრეზენტაცია - 30 ქულა

საბოლოო ტესტი - 45 ქულა

გამსვლელი ქულა - 51

კურსის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი აქტივობები:

- პრეზენტაცია
- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა

პრეზენტაციათა თემატიკა წინასწარ თანხმდება პროგრამის თითოეულ მსმენელთან. თითოეულ მსმენელს ევალება ერთი პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ფასდება 30 ქულით.

**მოდულის შედეგი:** კურსის გავლის შედეგად მასწავლებელს ექნება თეორიული ცოდნა სასწავლო და პროფესიული გარემოს შესახებ. იგი შეიძენს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს მუშაობის პროცესში. მას ექნება კონკრეტულ სიტუაციებში პრობლემის გადაწყვეტის უნარები.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. სწავლება და შეფასება, რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, 2008
2. სასწავლო და პროფესიული გარემო, ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, 2008
3. განათლების ფსიქოლოგია, ავტორთა ჯგუფი, 2000
4. ინკლუზიური განათლება და საზოგადოება, რ. აფხაზავა, ნ. ფრუიძე, ნ. მაჩაბელი, 2007
5. განათლება – განსხვავებული საჭიროების პირთა მქონე პირთა განათლება – ბერიპტ. იონსენისა და მარიამ დ. შერცენის რედაქციით, 2007
6. ბავშვის განვითარება, ლორა ბერკი, 2007
7. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2008
8. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008
9. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2008
10. ბავშვის უფლებეთა კონვენცია – გაერთიანებული ერების ფედერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის რეზოლუცია
11. პედაგოგიკა, თსუ-ს გამომცემლობა, 1994
12. პედაგოგიკა, შ. მალაზონია, 2006

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. Психология для учителя, Ги Лефрансуа, 2003
2. Педагогический Практикум, О.П. Морозова, 2000
3. Принципы активной Педагогики, В.Ч. Кузнецев, 2001
4. Практикум по решению конфликтных педагогических ситуаций, А.С. Чернышев, 2001
5. Социальная педагогическая психология, А.А. Реан, Я.Л. Коломинский, 2000
6. Педагогическая Этика, Т.В. Миншушкина, 2004
7. Теории Развития, Уильян Крэйн, 2002
8. Педагогическая Психология, Л.Д. Столяренко, 2003
9. Социальная Педагогика, А.В. Мудрик, 2002

## ხარისხის უზრუნველყოფა

**პროგრამის რაციონალური საფუძვლები** – მასწავლებლის პროფესიული უნარების განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის მიმართულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, კონტრაქტით ან საათობრივი წესით მოწვეული მასწავლებლები (რუსუდან სანაძე, მაია მემარნიშვილი, ნინო ჩახუნაშვილი, ნათია ბებიაშვილი, თეონა ლოდია), რომლებიც წლების განმავლობაში წარმართავენ პედაგოგიური ციკლის დისციპლინების სწავლებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პედაგოგიური კვლევის მეთოდები, განათლების თანამედროვე ტენდენციები, განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები, დიდაქტიკა, განათლების სისტემები, განათლების თეორიული საფუძვლები). მაია მემარნიშვილი და ნინო ჩახუნაშვილი მონაწილეობდნენ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსა“ და პროგრამის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ ორგანიზებულ სემინარებსა და ტრენინგებში, რომელთა ძირითადი თემატიკა იყო: ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგია საქართველოში, საშუალო სკოლის მოსამზადებელი კურსი, სკოლამდელი პროგრამის სრული მოსამზადებელი კურსი, უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა სასწავლო პროცესში, სტუდენტი – მასწავლებლის პრაქტიკა; აკრედიტაცია და ლიცენზირება.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ჯგუფი ფლობს პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების დიდ გამოცდილებას და მუდმივი კონტაქტი აქვს პედაგოგიურ საზოგადოებასთან. ჯგუფის წევრი თეონა ლოდია არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს „სასწავლო და პროფესიული გარემო“ თანაავტორი, აგრეთვე აქვს მასწავლებლებთან სატრენინგო მუშაობის გამოცდილება. თეონა ლოდიას სკოლის, განათლებისა და სწავლების თემებზე მონაწილეობა აქვს მიღებული ტრენინგებსა და ვორკშოპებში გერმანიაში, ნორვეგიასა და ახალ ზელანდიაში.

**მონაწილეთა შეფასების სისტემა** – მონაწილეთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტის სისტემა: დასწრება – 25 ქულა, პრეზენტაცია – 30 ქულა, საბოლოო გამოცდა – 45 ქულა, სულ – 100 ქულა.

მინიმალური ბარიერი, რომლის დაძლევაც მონაწილეს მოეთხოვება, 51 ქულას შეადგენს.

პრეზენტაციათა თემატიკა წინასწარ თანხმდება პროგრამის თითოეულ მსმენელთან. თითოეულ მსმენელს ევალება ერთი პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ფასდება 30 ქულით.

**სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები** – პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, სადაც ინახება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.

პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ აგრეთვე თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები (power point), ვიდეომასალები.

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ კონსულტაციები, სადაც მიიღებენ კვალიფიციურ პასუხს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც შეეხება როგორც პროფესიულ ცოდნას, ისე სწავლების მეთოდიკას.

**სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები** – სრული პროგრამის ან მისი ცალკეული მოდულის / მოდულების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წინაპირობაა კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. თითოეულ მოდულში კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51 ქულის დაგროვება.

**პროგრამის შეფასება** – პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ექსპერტების მიერ) სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის # 800 ბრძანების და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოთხოვნების თანახმად და რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით. აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 22 დეკემბერს. 2009 წლის იანვარში აღნიშნული პროგრამები შეფასდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების მიერ ზემოთ მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და მოხდა მათი სრულყოფა თსუ რექტორის 2009 წლის 20 იანვრის # 04/01–01 ბრძანების შესაბამისად.

ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო განხილვა თსუ აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების (ანუ სკოლის მასწავლებელთა) მონაწილეობით; საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებების, წინადადების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით; აღნიშნული პროცედურის გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>);

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულების შემდეგ, ხოლო მსმენელების

შენიშვნების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კითხვარი დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით და მისი გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ლექციებზე (პრაქტიკუმებზე, სემინარებზე) სხვა კოლეგების დასწრება. ლექციის (პრაქტიკუმის, სემინარის) შეფასება გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით და განთავსებულია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ვ) სერტიფიკატის გაცემა გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორის ბრძანებით.

ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილი მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, თსუ წესდებას (იხ.: [www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf](http://www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf), [www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf](http://www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf)), „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, რომელიც მომზადებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ (იხ.: [www.tsu.ge/qa/doc/QA\\_geo.pdf](http://www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf)).

### პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები – მასწავლებლის პროფესიული უნარების განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული მასწავლებლების, დოქტორანტების 5 წარმომადგენელი.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათები) და შესაბამისი ანაზღაურება. მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების საკითხი რეგულირდება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 იანვრის # 12/02–01 და 2008 წლის 2 მაისის # 58/02–01 ბრძანებებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურაში, აღნიშნული პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებში, რომლებიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>, <http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>). კერძოდ, პროგრამის

განხორციელებაში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სწავლის, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები** – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ III და V კორპუსებში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში:

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	115	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	121	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	208	50 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	220	50 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	224	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	232	43 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	313	108 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	318	27 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	110	43 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	204	66 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	215	38 მ <sup>2</sup>

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ II კორპუსის კომპიუტერული რესურს-ცენტრით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით:

მისამართი	კორპუსის #	რესურს-ცენტრში კომპიუტერების რაოდენობა
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	40

ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო:

მისამართი	ბიბლიოთეკის დასახელება	წიგნადი ფონდი
უნივერსიტეტის ქ. # 11	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	4 291 941 წიგნი

**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სტრატეგია** – 2007 წლის 19 მარტს თსუ აკადემიური საბჭოს # 14

დადგენილებით დამტკიცდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2007–2010 სასწავლო წლებში (იხ.:<http://www.tsu.ge/news/acad/dad14.asp>), რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა;  
სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა;  
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;  
თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში;  
საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;  
მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია.

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის ზემოთ აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

ა) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე შეძენილია 1 200 კომპიუტერზე მეტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ბ) დღეისათვის თსუ–ს ექვს ფაკულტეტს ემსახურება 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს–ცენტრი.

გ) თსუ–ში ფუნქციონირებს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, იურიდიული საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, მედიცინის საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ევროპული კვლევების ინტერფაკულტატური ბიბლიოთეკა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა, ბრიტანული ბიბლიოთეკა.

დ) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე თსუ ბიბლიოთეკების წიგნად ფონდს დაემატა 755 998 სახელმძღვანელო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle: <http://moodle.science.tsu.ge>. უახლოეს მომავალში იგეგმება მსგავსი სისტემის დანერგვა თსუ–ს სხვა ფაკულტეტებზეც.

ვ) ამჟამად მიმდინარეობს თსუ–ს პირველი და მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც აფინანსებს ფონდი „ქართუ“. თსუ მეორე კორპუსში ცალკეული აუდიტორიების რეაბილიტაცია და სასწავლო ინვენტარით აღჭურვა ხდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. დაგეგმილია თსუ–ს მაღლივი კორპუსების ტერიტორიის კეთილმოწყობა და „ცოდნის ქალაქის“ მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროებიდან 250 მლნ. ლარის მობილიზება (იხ. სააკრედიტაციო დოკუმენტაციაზე თანდართული ვიდეო–რგოლი).

ზ) 2008 წლის დეკემბერს 29 დეკემბერს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა თსუ შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურები: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში და „აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის მიზანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ამოქმედებაზე ზრუნვა, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და სხვ.